შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ო ქ მ ი № 345/1 (2018)

ქ.თბილისი 24. 05 2018წ

ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის შალვა ბულაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "ორისი"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, მხარეთა შორის, 2018 წლის 23 მაისს გაფორმებული №345 ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) მე-15 მუხლის საფუძველზე ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მეორე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში (კოდი: 29.09.02), წინამდებარე ხელშეკრულებით საბუღალტრო პროგრამა „ორისი ბუღალტერია" (AO5S) ერთვალუტიანი ხუთმომხმარებლიანი ვერიის 3(სამი) ერთეულის – (შემდგომში - „საქონელი") (CPV 48400000)შესყიდვა".
2. შეიცვალოს ხელშეკრულების მესამე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად : „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 7033.00 (შვიდი ათას ოცდაცამეტი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), მოსაკრებელსა და სახდელს."
3. ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს, 2018 წლის 22 მაისის №345 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე, 2 იდენტურ ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
შ. ბულაშვილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი	გ. გოთოშია შპს „ორისი" დირექტორი
---	---